



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**  
**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

დ ა მ ტ ვ ი ც ე ბ უ ლ ი ა  
 ს ტ უ - ს ა კ ა დ ე მ ი უ რ ი სა ბ ჭ ო ს  
 2011 წლის 16 მარტის  
 № 630 დადგენილებით

**მოდული**  
 ს ტ უ - ს ა კ ა დ ე მ ი უ რ ი სა ბ ჭ ო ს  
 2014 წლის აპრილის  
 № დადგენილებით

**მშენებლობის მწარმოებელი - 040651**  
**Builder-Technician**  
**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

**I. პროფესიული პროგრამის სახელწოდება :** მშენებლობის მწარმოებელი

**II. პროფესიული განათლების საფეხური:** მეხუთე

**III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მშენებლობის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**IV. პროგრამის მოცულობა:** 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ) სულ 1500 საათი,

აქედან:

36კრედიტი (900 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი- 555; დამოუკიდებელი – 225, შუალედური/დასკვნითი შეფასება - 120)

24 კრედიტი (600 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის(საკონტაქტო საათი - 600).

**V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** მეხუთე საფეხურზე დაიშვებიან პირები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.

**VI. პროფესიული პროგრამის მიზანი:**

მისცეს სტუდენტებს თეორიული ცოდნა და განუვითაროს პრაქტიკული უნარ-ჩვევები შემდეგ საკითხებში:

სამშენებლო წარმოების პროცესების ორგანიზაცია და მართვა; რესურსების, საქონლისა და სამომხმარებლო ბაზრები; მომხმარებლების მომსახურების ძირითადი პრინციპები; ბიზნეს-გარემოზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენის იდენტიფიცირება და შეფასება; სამშენებლო ტექნოლოგიური პროცესები; სამშენებლო მასალათა გამძლეობის საკითხები; საინჟინრო-სამშენებლო მექანიკის სპეციალური საკითხები; სამშენებლო კონსტრუქციების ტიპები და მათი წარმოების, მონტაჟისა და ექსპლუატაციის პროცესი; სამშენებლო წარმოების პროცესში შრომის დაცვისა და მშენებლობის უსაფრთხოების ნორმები; მშენებლობის ბიზნესისათვის დამახასიათებელი ძირითადი თეორიების, კონცეფციების, პრინციპების ცოდნა და მათი ძირითადი არსის გაცნობიერება დაგეგმვის პროცესში; აუდიტის პრინციპები; ბიზნეს ერთეულის საქმიანობაში აუდიტის როლისა და ფუნქციის ცოდნა და პროცესის განხორციელება; ეკონომიკისა და ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება; ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობასაცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობების დაპროექტების ძირითადი მეთოდები და პრინციპები;

შეძლოს: სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით შენობის ინტერიერის შიდა სივრცის მოწყობა,

შეცვლა, გადაკეთება; არსებული არქიტექტურული გარემოს ანალიზი და საკუთარი არქიტექტურული ვერსიის შეთავაზება; სპეციალური ხელსაწყო-იარაღების გამოყენებით, კონსტრუქციებისა და ნაგებობების გამოცდა,რათა შემდგომში მან შეძლოს მათზე გამოკვლევების ჩატარება, ადგენა რეკონსტრუქცია თანამედროვე ხერხების და მეთოდების გამოყენებით.

გამოუმუშაოს უნარი ახალი ტექნოლოგიების შესწავლის, გათავისების, გაზიარებისა და კრიტიკული ანალიზის. პროფესიული ბიზნეს ინფორმაციის იდენტიფიცირების, მოდიფიცირების,

არგუმენტირებული დასაბუთების, ცვლილებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების საჭიროების ანალიზის, დასკვნების გაკეთებისა და ქმედითი ღონისძიებების ჩატარების; ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო პროფესიული ანალიზისა და დასკვნების; პრაქტიკულ საქმიანობაში ავტონომიური დასკვნების გაკეთების; სიტუაციური ანალიზის საფუძველზე პერსონალური მიზნების განსაზღვრისა და დასახვის;

პროფესიული დასკვნების საფუძველზე მატერიალური საჭიროებებისა და მათი განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსების განსაზღვრის. განუვითაროს პატივისცემის გრძნობა მორალური, ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმებისადმი; სამართლიანი საქმიანი ურთიერთობების წარმართვის და დაცვის უნარი; პიროვნული პასუხისმგებლობის აღების უნარი საერთო საქმეზე; უზრუნველყოს სწავლებისა და სწავლის მაღალი ხარისხი, რათა მისცეს სტუდენტებს ის ცოდნა და უნარები, რომელიც უზრუნველყოფს მათ მშენებლობის ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში დასაქმების მრავალფეროვანი შესაძლებლობით.

**VII. დასაქმების სფერო:** მშენებლობის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სამშენებლო კომპანიებში და ფირმებში, ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურებში, სახელმწიფო ან კერძო საწარმოო დაწესებულებებში, რომლის საქმიანობა დაკავშირებული იქნება შენობა-ნაგებობების მშენებლობასთან ან მის რეკონსტრუქცია გაძლიერებასთან. მათი სამსახურებრივი მდგომარეობა და მოქმედების არიალი შეიძლება განისაზღვროს დამწყები სპეციალისტიდან შემდგომი განვითარებით.

**VIII. სწავლის შედეგი:**

მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მათემატიკური სტატისტიკისა და ალბათობის თეორიის, საინჟინრო მექანიკის საფუძველზე შენობა-ნაგებობათა სტატიკურ დატვირთვებზე გაანგარიშება;</li> <li>• არქიტექტურული სივრცის ხედვა და ამ სივრცის სწორად ათვისების მეთოდები;</li> <li>• სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშების რაოდენობრივი სამშენებლო ხაზვა, გეოდეზია, სამშენებლო მასალების სახეობები და მათი წარმოების პროცესი;</li> <li>• სამშენებლო ტექნოლოგიური პროცესები, მასალათა გამძლეობის საკითხები, სამშენებლო მექანიკის სპეციალური საკითხები, სამშენებლო კონსტრუქციების ტიპები და მათი წარმოების, მონტაჟისა და ექსპლუატაციის პროცესის საკითხები;</li> <li>• სამშენებლო წარმოების პროცესში შრომის დაცვისა და მშენებლობის უსაფრთხოების ნორმები;</li> <li>• მშენებლობის წარმართვის ორგანიზაციული ფორმები და მართვის მეთოდები, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, სამოქალაქო და სამრეწველო დანიშნულების ობიექტებში წყალსადენების, წყალანიერებისა და თბოაირმომარაგების სისტემების მოწყობა;</li> </ul>
-------------------------------------	--	--

		<ul style="list-style-type: none"> <li>• აცნობიერებს: თანამედროვე მეთოდებითა და ტექნოლოგიებით შენობა-ნაგებობათა დაპროექტების ოპტიმალური ხერხების შერჩევის მნიშვნელობას და ეძებს რაციონალური გადაწყვეტილებებს;</li> <li>• ბიზნესგარემოზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენების იდენტიფიცირება და შეფასება, მეწარმეობის საფუძვლები;</li> <li>• მშენებლობის მენეჯმენტის ორგანიზების პრინციპები, ზოგადი მენეჯმენტი, მშენებლობის პროცესის დაგეგმვა, ბიზნესის დაგეგმვა, მშენებლობის ბიზნესისათვის დამახასიათებელი ძირითადი თეორიების, კონცეფციების, პრინციპების ცოდნა და მათი ძირითადი არსის გაცნობიერება დაგეგმვის პროცესში;</li> <li>• მშენებლობის მენეჯმენტი: ორგანიზების პრინციპები, რესურსების მდგარადი განვითარებისათვის სტრატეგიული მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები. ადამიანური რესურსების მართვა (ადამიანური რესურსების მდგარადი განვითარებისათვის სტრატეგიული მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები). ფინანსური მენეჯმენტი; საბუღალტრო აღრიცხვა; აუდიტის პრინციპები; ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალური პროგრამები:- საკომუნიკაციო ინგლისური ენა.</li> </ul> <p><b>აცნობიერებს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამშენებლო წარმოების პროცესების მნიშვნელობასა და როლს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში;</li> <li>• თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების როლს საქმიანობის წარმატებასათვის;</li> <li>• სამშენებლო ბიზნესის მწარმოებელის ფუნქციის მნიშვნელობას.</li> </ul>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<p><b>აქვს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების იდენტიფიცირების, საჭიროების კრიტიკული ანალიზის, ხასიათისა და ტიპების დადგენის ხარისხის განსაზღვრის და მოხმარების პირობების დადგენის უნარი;</li> <li>• სამშენებლო ტექნოლოგიური პროცესების ( მოსამზადებელი სამუშაოები, მიწის სამშუშაოები, სამირკვლის მოწყობა, ქვის სამუშაოები, ბურულის და მოპირკეთების სამუშაოები...) მართვის, კონკრეტულ ოპერაციებთან დაკავშირებული პრაქტიკული საქმიანობის დაგეგმვა- აღსრულების უნარი;</li> <li>• შესაბამისი პროცედურებისა და პრინციპების გამოყენების საფუძველზე; მომხმარებლის საჭიროებების შესწავლის, სამომხმარებლო ბაზრის</li> </ul>

		<p>განსაზღვრის, ექსპლუატაციის ფინანსური და ტექნიკური საშუალებების შეფასების, სხვა სააღრიცხვო ოპერაციების განხორციელების და მონაცემთა ბაზის შექმნის უნარი; პროფესიული ინფორმაციის იდენტიფიცირების, მოძიების, ანალიზის და გადაწყვეტილების არგუმენტირების ექსპლუატაციის ფინანსური და ტექნიკური საშუალებების შეფასების უნარი;</p> <p><b>შეუძლია :</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საფრთხეების დადგენა, სიტუაციური ანალიზი, უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის პირობების განსაზღვრა;</li> <li>• სამშენებლო ობიექტზე ბეტონისა და რკინაბეტონის ნაკეთობების წარმოებისას დაშვებული შეცდომების კორექტირება;</li> <li>• ახალი სამშენებლო პროცესის დამოუკიდებლად დაწყება;</li> <li>• სამუშაოთა პროცესებში ჩართული ჯგუფის, ბრიგადის ზედამხედველობის და უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე კონტროლის გაწევა, უსაფრთხო გარემოს შექმნა და დაცვა.</li> </ul>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p><b>აქვს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მშენებლობის წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო პროფესიული ანალიზი და დასკვნების გაკეთების უნარი;</li> <li>• სიტუაციური ანალიზის საფუძველზე პერსონალური მიზნების განსაზღვრისა და დასახვის უნარი;</li> <li>• მატერიალური საჭიროებებისა და მათი უზრუნველყოფისათვის აუცილებელი რესურსის განსაზღვრის, სამეწარმეო პროცესის პირობის განსაზღვრის და სათანადო დასკვნის გამოტანის უნარი.</li> </ul>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირება და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p><b>აქვს :</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჯგუფური მუშაობის პირობებში ეფექტური კომუნიკაციის, პროფესიული ინფორმაციის მოპოვების ანალიზისა და გავრცელების უნარი;</li> <li>• ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური ფორმით გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებები მშობლიურ და ინგლისურ ენაზე.</li> </ul>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მისი პროფესიული ცოდნის შემდგომი განვითარების მიმართულებების განსაზღვრა, ახალი მასალებისა და ტექნოლოგიების შესწავლა-გათავისება, გაზიარება და კრიტიკული ანალიზი;</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>პროფესიული ბიზნესინფორმაციის იდენტიფიცირება-მოდულიცირება.</li> </ul>
<b>ღირებულებები</b>	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	<b>შეუძლია:</b> <ul style="list-style-type: none"> <li>კოლეგებისა და პარტნიორების პროფესიონალიზმის პატივისცემა;</li> <li>მორალური, ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმების დაცვა და პატივისცემა, საერთო საქმეზე პიროვნული პასუხისმგებლობა.</li> <li>იცის შრომის უსაფრთხოებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ნორმატიულ აქტები და დებულებები და მოქმედებს მათი გათვალისწინებით.</li> </ul>

### IX. სწავლის შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	ENGL507	ინგლისური B2	X	X		X		
2	INF0208	ინფორმატიკა II	X	X		X		
3	BRECN01	დარგის ეკონომიკა	X	X	X			X
4	CBCBS01	გამოყენებითი სტატისტიკა მშენებლობაში	X	X		X		
5	INJUC01	საინჟინრო კომუნიკაციები მშენებლობაში	X	X				
6	ARSPO01	არქიტექტურა-სივრცის ორგანიზაცია	X	X			X	
7	CRP0101	ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოთა წარმოება I	X	X	X			X
8	BULST01	ნაგებობათა გამოკვლევა	X	X				X
9	LLSTS01	შრომის კანონმდებლობა, სახელმწიფო და ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე	X	X				X
10	TCBRW01	შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების ტექნოლოგია	X	X	X			
11	STCON01	ნორმები მშენებლობაში	X	X				
12	CRP0201	ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოთა წარმოება II		X	X	X		X
13	CONMC01	სამშენებლო მექანიკა	X	X	X			
14	KOMCN01	კომპოზიტები მშენებლობაში	X	X				

15	QUALW01	საკვალიფიკაციო ნაშრომი	X	X	X	X		X
----	---------	------------------------	---	---	---	---	--	---

**X. სასწავლო გეგმა**

**I სემესტრი**

№	საგნის კოდი	ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტ ები	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა							სულ საათების რაოდენობა
				საკონტაქტო საათები						დამოუკიდებელი საათები	
				ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური შეფასება	დასკვნითი შეფასება		
1	ENGL507	ინგლისური B2	5	/60				6	2	57	125
2	INF0208	ინფორმატიკა II	5	/60				6	2	57	125
3	BRECN01	დარგის ეკონომიკა	6	15/15			105	6	2	7	150
4	CBCBS01	გამოყენებითი სტატისტიკა მშენებლობაში	3	15/30				6	2	22	75
5	INJUC01	საინჟინრო კომუნიკაციები მშენებლობაში	5	30		75		6	2	12	125
6	ARSPO01	არქიტექტურა – სივრცის ორგანიზაცია	3	1/15		30		6	2	22	75
7	CRP0101	ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოთა წარმოება I	3	30			30	6	2	7	75
სულ			30	270		105	135	42	14	184	750

**II სემესტრი**

№	საგნის კოდი	ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა							სულ საათების რაოდენობა
				საკონტაქტო საათები						დამოუკიდებელი საათები	
				ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური შეფასება	დასკვნითი შეფასება		
8	BULST01	ნაგებობათა გამოკვლევა	3	15/15			30	6	2	7	75
9	LLSTS01	შრომის კანონმდებლობა, სახელმწიფო და ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე	3	15/15				6	2	37	75

10	TCBRW01	შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების ტექნოლოგია	3	15/15				6	2	37	75
11	STCON01	ნორმები მშენებლობაში	3	15/15		30		6	2	7	75
12	CRP0201	ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოთა წარმოება II	5	30			80	6	2	7	125
13	CONMC01	სამშენებლო მექანიკა	6	30/30		75		6	2	7	150
14	KOMCN01	კომპოზიტები მშენებლობაში	3	15/30				6	2	22	75
15	QUALW01	საკვალიფიკაციო ნაშრომი	4	15		60		6	2	17	100
სულ			30	270		165	110	48	16	141	750

**შენიშვნა:**

**სასწავლო სემესტრი 20 კვირიანია:**

15 კვირა სასწავლო პროცესისათვის, 3 კვირა შუალედური შეფასებებისათვის, 2 კვირა გამოცდისათვის და განმეორებითი გამოცდისათვის.

მე-18 კვირა III შუალედური შეფასებისათვის;

მე-19 კვირა გამოცდისათვის, მე-20 კვირა განმეორებითი გამოცდისათვის (აუცილებელი 10 დღიანი ინტერვალის დაცვით).

თითოეულ საგანში შეფასებებისათვის განკუთვნილი დრო - 8 საათი.

**1. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და არა აქვთ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:**

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

გამოცდა - 2 სთ. თეორია;

**2. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და მხოლოდ სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა:**

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

**3. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:**

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 1 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ. თეორია, 1 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

**XI. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)**

ლექციაზე დასწრებას;

- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- სასწავლო პრაქტიკას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

**XII. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება**

დადებით შეფასებას ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F)- ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასებად უშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი გამოცდის შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება
- ზეპირი გამოკითხვა
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი

### XIII. სწავლების ფორმები:

თეორიული სწავლება;

პრაქტიკული სწავლება;

საწარმოო პრაქტიკა;

სასწავლო პრაქტიკა.

### სწავლის მეთოდები:

ინტერაქტიული სწავლება; ჯგუფური მუშაობა; სწავლების დედუქციური მეთოდი; ახსნაგანმარტებითი მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი.

### XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

№	საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
1	ინგლისური B2	თამარ არველაძე	საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი
2	ინფორმატიკა II	ლაურა შავერდაშვილი	ინჟინერ სისტემოტექნიკოსი
3	დარგის ეკონომიკა	ჯემალ ჩოგოვაძე	ინჟინერ ჰიდროტექნიკოსი
4	გამოყენებითი სტატისტიკა მშენებლობაში	მაია ჭანტურია	ინჟინერ მშენებელი
5	საინჟინრო კომუნიკაციები მშენებლობაში	ხათუნა ხატიური ნანი მეფარიშვილი	ინჟინერ მშენებელი ინჟინერ მშენებელი
6	არქიტექტურა – სივრცის ორგანიზაცია	რამაზ ჟღენტი	არქიტექტორი
7	ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოთა წარმოება I	ნინო მსხილაძე	ინჟინერ მშენებელ-ტექნოლოგი
8	ნაგებობათა გამოკვლევა	გიორგი მაისურაძე ლია ბალანჩივაძე	ინჟინერ მშენებელი; ინჟინერ მშენებლის სამრეწველო დისციპ-ლინების მასწავლებელი
9	შრომის კანონმდებლობა, სახელმწიფო და ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე	ირმა ღარიბაშვილი	ინჟინერ პედაგოგი



10	შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების ტექნოლოგია	მარინა ჯავახიშვილი	ინჟინერ ქიმიკოსი
11	ნორმები მშენებლობაში	ლია ბალანჩივაძე	ინჟინერ მშენებლის სამრეწველო დისციპ-ლინების მასწავლებელი
12	ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოთა წარმოება II	ნინო მსხილაძე	ინჟინერ მშენებელ-ტექნოლოგი
13	სამშენებლო მექანიკა	დავით ჯანყარაშვილი იოსებ კაკუტაშვილი	ინჟინერ მშენებელი; ინჟინერ მშენებელი
14	კომპოზიტები მშენებლობაში	ლალი ვერულაშვილი	ინჟინერ ტექნოლოგი
15	საკვალიფიკაციო ნაშრომი	ლალი ვერულაშვილი ლია ბალანჩივაძე გიორგი მაისურაძე	ინჟინერ ტექნოლოგი; ინჟინერ მშენებლის სამრეწველო დისციპ-ლინების მასწავლებელი; ინჟინერ მშენებელი

**XV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამი საგანხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე მშენებლობის მწარმოებლის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

I კორპუსი. სამშენებლო ფაკულტეტთან არსებული ლაბორატორია, მშენებლობის მწარმოებლის მომზადებისათვის საჭირო თვალსაჩინოებანი და სადემონსტრაციო მასალები, პრეზენტაციები და ვიდეოფილმები.

**XVI. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა**

იხ. დანართი 1.

პროგრამის ხელმძღვანელები

აგული სოხაძე  
ლია ბალანჩივაძე

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მარინა ჯავახიშვილი

ფაკულტეტის დეკანი  
**მიღებულია**

ზურაბ გედენიძე

სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
24 აპრილი 2012 წ.

**მოდულიზირებულია**  
სამშენებლო

ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
ოქმი #3 18.03.14.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ზურაბ გედენიძე

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

გიორგი ძიძიგური